კურიკულუმის შექმნა თანამშრომლობითი გზით — დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოზე დაყრდნობით

(კერძო სკოლის დაწყებითი საფეხურის კოორდინატორთა ჯგუფი)

მარი ბარნაბიშვილი, ეკატერინე გოგობერიშვილი, თამარ სოფრომაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება (სკოლის ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

ანგარიშის ავტორები ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი არის ორიგინალი ვერსია და გამოყენებული ლიტერატურა და მასალები დამოწმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილით.

ეკატერინე გოგობერიშვილი

თამარ სოფრომაძე

მარი ბარნაბიშვილი

25.06.2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც ეხება ''პიროვნული განვითარების საათის'' კურიკულუმის შექმნას დაწყებითი კლასის კოორდინატორთა თანამშრომლობით, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოზე დაყრდნობით.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა "საერთაშორისო აკადემია ლოგოსში" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ''განათლების ადმინისტრირების'' სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ.

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება, რის პარალელურადაც დაიწყო შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება. კვლევის მეორე ეტაპი დაიწყო შუალედური შეფასებით და გაგრძელდა ინტერვენციებით. პრაქტიკის კვლევა დასრულდა საბოლოო შეფასებით.

ინტერვენციები განხორციელდა დაწყებითი კლასების კოორდინატორთა ჯგუფთან. პრაქტიკის გაუმჯობესება მიმართული იყო როგორც კურიკულუმის სტრუქტურის, ასევე დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შინაარსის გაგება, გააზრება, გამოყენებისკენ. ინტერვენციების საშუალებით, მათ გააუმჯობესეს თანამშრომლობა და დაისახეს საერთო მიზნები ცვლილებების განსახორციელებლად.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია საინტერესო იქნება სხვა კერძო და საჯარო სკოლებისთვის, კურიკულუმზე მომუშავე სხვა ინსტიტუციებისა თუ ინდივიდებისთვის, რათა შეიმუშაონ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან მიმართებაში, მასწავლებლების ჩართულობით, მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნებული კურიკულუმი.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, კურიკულუმი, თანამშრომლობითი კულტურა

Abstract

This Master's thesis represents a report of action research. This Action research was based on creating a personal development course curriculum in collaboration with primary school coordinators, and is based on demoractic cultural competencies reference framework.

The action research was implemented in Logos International Academy by students of the Educational Administration Master Program at Ilia State University.

In the first stage of research, a problem was identified. Then, corresponding interventions were implemented. The second stage of the research began with Midterm Evaluations, which were followed by second phase of interventions. The Action research concluded with a final evaluation.

The series of interventions were implemented in conjunction with a team of primary school coordinators. The improvement of their professional practice was aimed at understanding the structure of the curriculum, as well as the content of democratic cultural competencies. Through these interventions, coordinators improved collaborative approaches and set common goals for implementing changes in their professional practice.

The results of the research will be of interest for public and private schools, institutions and individuals working on creating curricula based on democratic cultural competencies as a framework for reference, especially for those interested in involving teachers and creating curricula based democratic cultural competencies according to students needs.

Keywords: action research, democratic cultural competencies, curriculum, Collaborative Culture

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს თამარ ბრეგვაძეს გაწეული შრომისა და დახმარებისთვის.

კვლევაში მონაწილე "საერთაშორისო აკადემია ლოგოსის" ადმინისტრაციას და მის წარმომადგენელს, მიხეილ ტეფნაძეს, მისი ხელშეწყობით პროცესი იყო ღია და თავისუფალი.

მადლობას ვუხდით კოორდინატორებს: დავით ბობოხიძე, ლევან სახეჩიძე, ნინო გილიგაშვილი, მერი გეთია, ნინო ოსიაშვილი, თამარ გიგოლაშვილი, რუსუდან სინჯიკაშვილი, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროცესში.

ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს ქალბატონ ნათია ნაცვლიშვილს და მანანა რატიანს, რომლებმაც გაგვიწიეს უდიდესი დახმარება.